საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1073 2025 წლის 4 ივლისი ქ. თბილისი

2025 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), საქართველოში 2025 წლის რთვლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – რთვლის საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მევენახეობის ზონების შესაბამის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. დაევალოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მევენახეობის ზონების შესაბამის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების

ადმინისტრაციებს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რთვლის საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კანდიდატურების წარდგენა სააგენტოსათვის.

3. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩაბარების პროცესში, ადგილებზე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

4. ღვინის კომპანიები, რომლებსაც აქვთ განზრახული ყურძნის მიღება-გადამუშავება, ვალდებულნი არიან:

ა) ელექტრონული ფორმით გაიარონ რეგისტრაცია რთვლის საკოორდინაციო შტაბში;

ბ) კახეთის რეგიონში მოწეული ყურძნის მიღება-ჩაბარება განახორციელონ ელექტრონული სასწორით აღჭურვილ ყურძნის მიმღებ პუნქტებში, გარდა იმ ღვინის კომპანიებისა, რომლებსაც განზრახული აქვთ არაუმეტეს 100 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება.

5. სააგენტომ, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 31 03) „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, უზრუნველყოს არაუმეტეს 20 ერთეული ყურძნის წვენის ნიმუშის ამღები დანადგარის შესყიდვა, ჩასაბარებელი ყურძნის ხარისხის შემოწმების მიზნით.

6. სააგენტომ უზრუნველყოს ამ განკარგულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის პირობების დადგენა.

7. ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს მის მმართველობაში არსებული შპს მოსავლის მართვის კომპანიის (ს/ნ: 405406109) მიერ 2025 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის

აუცილებელი ღონისძიებების გატარება და საჭიროების შემთხვევაში – შესაბამისი საკრედიტო რესურსების მოძიება საფინანსო ინსტიტუტებიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე